№ 17 იანვარი 24, კვირა 1893 იანვარი 24, კვირა № 17

გაზეთის ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოფილ განცხადებათა დასაბეჭდავად უნდა მიეშართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგაშვილის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკიისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განცხადებანი, სათავად-აზნაურო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 27 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება

I

პირველად ახალი პიესა

თჳგ. დავით ერისთავისა

საზოგადო საქმე

კომედია 4 მოქ. ჩვენის ცხოვრებიდგან

II

არც იქით—არც აქეთ

ვოდევილი 1 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია

კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება

„სახლების აშენების ამხანაგობისა“

განსახილველად შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ მოქმედებისა წარსულ წელს,

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და 3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

კრებას შეუძლიანთ დაესწრონ წევრნი და აგრეთვე ისინი, ვინც განაცხადებენ სურვილს წევრობისას და წარმოადგენენ საწევრო ფულს არა ნაკლებ ერთის თუმნისა.

(5—)5

წლიური საზოგადო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა კრება, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია კვირას, იანვრის 24, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1891 წ. 1 სექტემბრამდე 1892 წ. ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შესახებ 18$^{92}/_{93}$ წლისათვის და გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (5—5)

ფელეტონი

ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი

(მოგონება აწ განსვენებულ ივ. კერესელი ძისა *).

1849 წელს, როდესაც, განსვენებულის ვარანცოვის სურვილით, ტფილისის გიმნაზიის ზალაში, დროებით გამართულს სცენაზე, წარმოადგინეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“, სადაც დაესწრა თვით ვარანცოვი და ძრიელ მოეწონა კიდეც ქართველი წარმოდგენა, ზურაბ ანტონოვს გორში ჰქონდა მეწვრილმანის დუქანი და ჰყვანდა ამხანაგად თავისივე ძმა. მინამ მართებლობა დაიწყებდა ტფილისის თეატრში ქართველთა წარმოდგენებს, გიოოგი ერისთავი შეადგენდა ქართულს ტრუპას და დაარწმუნა ბატონ ანტონოვ, ეს ეგრეთ ადვილი საქმე ყოფილა, ეს ეგრეთ ადვილი ... ეს ... ეგ ... ეს ... ეგ ... ეს ... ეგ

ომისათვის მზადებაში იყოს და ამით თვითონაც სული იხუთოს. ომს შეუძლიან ეგ პირველობა გერმანიას ჩამოართოს, ხოლო საკითხი ეს არის: ვინ დაიჭერს გერმანიის ადგილს? ვინ გაუბატონდება ევროპას? აქ თავწამოყოფილია შური, თვით-მედიდობა, პატივ-მოყვარეობა თვითეულის სახელმწიფოსი.

აი აქ არის ის ძირიდანი მიზეზი, რომ ინგლისი დღეს განზე სდგას და არც ერთს მტრობით გამწვავებულს მხარეს არ უდგება მხარში. იმისი ანგარიში საბუთიანი: ან ორივე მხარე, ომისათვის მეტის-მეტ ზმვისაგან დაუძლურდება, იმიტომ რომ ამისთანა თავიდამ ფეხამდე საომარ აბჯარში ჩამჯდარი მშვიდობიანობა, როგორიც დღეს არის, ხერხს არავის დაჯარის და იმდენად მისასუსტებს ერთსაც და მეორესაც, რომ ბატონობა-კი არა, თავის თავის რჩენაც საეჭვრებელი გაუხდეთ, ან თუ ომი ატყდა, როცა მეტი გზა აღარ ექნებათ, მე საცა ჩემთვის სამჯობინარია ჩავერევი, რომ უფელი თანასწორობისა ევროპაში არავის მხრისკენ არ გადიხარეს იმდენად, რომ ბატონობა გაბედოსო.

ამ ორსავ გზას საქმე ინგლისისათვის სასურველ მიჯნამდე მიჰყავს და ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ინგლისი უფრო იცდის დღეს, ვიდრე მოქმედებს, უფრო ელის,—ვნახოთ რომელი გზა უფრო მალე მოუღებს ბოლოს დღევანდელ გაჭირებულ ყოფას ევროპისასაო. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ესეთი პოლიტიკა ინგლისისა უანგარო იყოს და გამოწვეული კაცთ-მოყვარეობის გრძნობისაგან. სხვათა საუძლურება მისი გაძლიერება იქმნება და ამისთანა თავისაკენ თლა ეჩოსავით ახალი ამბავი არ არის ინგლისისათვის. ინგლისი საქმიან კაცების ქვეყანაა და ცუდ-უბრალოდ არც დგომა უყვართ და არც სირბილი.

ახალი ამბავი

*** დღეს, 24 იანვარს, საღამოს 4 საათზედ, სიონის ტაძარში იქნება ლოცვა, რომლის შემდეგაც მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა, ეგზარხოსი საქართველოსი ვლადიმირი გარდაიხდის ღვთის-მშობლის პარაკლისს. ამასთანავე ეგზარხოსი წაიკითხავს დაუჯდომელსაც. შემდეგ დაუჯდომლისა იღუმენი ლეონიდე ქართულად იტყვის ქადაგებას.

*** დიდად პატივცემული ყოვლად-სამღვდელო, ეპისკოპოსი გორისა, ალექსანდრე ძრიელ ავად ბრძანდებოდა. როგორც ამბობენ, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გაცივებულიყო განსვენებულ ივ. ივ. კერესელიძის დასაფლავებაზე. ამ ჟამად მისი მეუფება სრულიად კარგად იმყოფება.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა მოხსენებული, რომ რამდენიმე მცოდნე კაცი მუშაობს და უნდა შეადგინოს წესდება კახეთის მევენახეთა საზოგადოებისა, რომელსაც საგნად ექნება ღვინის გასყიდვა. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად ზოგიერთ ქართლის ვენახის პატრონთაც განუზრახავთ შეადგინონ ამ გვარივე საზოგადოება, იმის წყალობით, შეიმუშაონ ტიპი ქართლის ღვინისა და ამ გზით მოუპოვონ შორეული ბაზრები თავიანთ ვენახების მოსავალს.

*** ტფილისის სომხურ გაზეთებში რამდენიმე წერილი და წვრილი შენიშვნა დაბეჭდილი, რომელთა ავტორებიც ამტკიცებენ, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანა დიდად საძნელო საქმეაო.

*** ტფილისის ხელოსნების დიდი ლაპარაკი აქვთ ამ ჟამად იმის შესახებ, რომ უფროს უსტაბაშად, ანუ ხელოსანთა მოურავად ისეთი კაცი ამოვარჩიოთ, რომელმაც ქართული იცოდესო, რადგან უამისოდ ძალიან დაბრკოლებულია სხვა-და-სხვა საქმეთა გარჩევა სახელოსნო გამგეობაშია.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა გარდასწყვიტა, რომ 14 თებერვალს დაინიშნოს საგანგებო კრება ბანკის წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს, გადასდოს თუ არა 15 ათასი მანათი გამოსაკვლევად იმ ადგილ-გარემოთა, საცა უნდა გაიაროს კახეთის რკინის გზამ.

*** ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტი აცხადებს, რომ კვირას, 24 იანვარს, ინსტიტუტის 50 წლის იუბილეის დღესასწაულია დანიშნული და ამიტომ ამ დღეს ჩვეულებრივი ნახვა შეგირდის ქალებისა მშობელთა და ნათესავთა მიერ არ იქმნებაო.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „სოფლის კუნწულა“, თხზულება დ. ბაჩხანელისა (ნადირაძისა). ეს თხზულება სურათებია კახეთ-ქიზიყის ცხოვრებისა და პირველად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში 1889 წელს. წიგნი დაუბეჭდია „ქართველთა გამომცემელ ამხანაგობას“. ფასი წიგნისა, რომელიც სუფთად არის დასტამბული და შეიკაკვა 53 გვერდს, 20 კაპ.

*** სამკურნალო განყოფილებას ტფილისის საგუბერნიო მმართველობისას პეტერბურგიდან მოსვლია განსახილველად პროექტი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული ქოთაოს (ცხენის სენია) მოსასპობად, რომელიც საქონლის სხვა-და-სხვა სენთან ერთად ძლიერ ვრცელდება ამ ბოლოს დროს კავკასიაში. გუშინ საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებას კრება ჰქონდა, განიხილა, როგორც ზემოხსენებული პროექტი, ისე ისიც, თუ როგორ უნდა მოეწყოს სბეითალო საქმე ჩვენში.

*** გუშინ ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სომხის მღვდლის ტერ-კოსტანტინე სტეფანეს ძე არარატიანისა და დუბგლის მნაცაკან შაგოს ძე მელიქოვისა, რომელთაც ხიდის ცუდად გაკეთება ჰბრალდებოდათ, რის გამოც ჩატყდა შარშან წყალ-კურთხევა ღღეს, და ორივე ბრალდებული გაამართლა.

*** ქალაქის გამგეობას რვა საკუთარი სასწორი უდგა სხვა-და-სხვა მოედნებზედ. სასწორების შემოსავალი გადაკეთეთ ფუთზედ ერთი კაპიკი. როგორც სჩანს ქალაქის წიკნეებიდგან, წარსულ წელს შემოსავალი ყველა ამ სასწორებისა იყო სულ 6881 მანეთი და 57 კაპ., მაშინ როდესაც შარშანწინ შემოსავალი აღემატებოდა 8700 მანეთს, ე. ი. შარშანდელმა შემოსავალმა იკლო თითქმის ორასი თუმანი. აგრეთვე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა ქალაქს სატვირთგდგან, რომელმაც მოსცა შარშან სულ 11411 მანეთი და ათი შაური, ხოლო შარშანწინ—16,566 მანეთი და 60 კაპ., მაშასადამე, იკლო ხუთას თუმანზედ მეტი. ეს კლება მითი უნდა აიხსნას, რომ შარშან, ხოლერობის გამო, შენობების გაკეთება ძლიერ შეჩერდა, რადგან მუშები აღარ იყო საშოვნელი და ოვით მეტვეენიც ვერა ჰბედავდნენ ტფილისში ჩამოსვლას, მხოლოდ ძალზედ გაჭირვებულთ მოჰქონდათ ქალაქში ტიკვები. სამაგიეროდ იმატა საყასბოების შემოსავალმა. საკიკავის ხარჯი შარშან ქალაქმა აიღო 36422 მანეთი და 97 კაპ., ე. ი. სამასის თუმნით მეტი, ვიდრე შარშანწინ.

*** 22 იანვარს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, საღამოთი, კრება ჰქონდა სამოსწავლო კომიტეტს. კრებამ მთელი საღამო მოანდომა განხილვას სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის ანგარიშისა და დაადგინა: ანგარიში გარდაეცეს შესამოწმებლად მდივანს სპბეოსას თავად პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს და უფროსს ბუხვალტერს ქალაქის გამგეობისას ნ. ზ. ნაზაროვს, რომელთაც უნდა გაათავონ მინდობილი საქმე 28 იანვრისთვის და წარუდგინონ სამოსწავლო კომიტეტს.

*** ჩვენ მივიღეთ ხაშურიდამ ბ-ნ ვლადიმერ ჩიქოვნისაგან შეკრ ,ილი 15 მანათი, სოფ. ქედაში დასაარსებელი სკოლის სასარგებლოდ.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ 1 თებერვალს გაიმართება ბ-ლი. გამგმე ბალისა ენენინა ე. მ. ანდრონიკაშვილი ბეგრსა სცდილობს, რომ ეს ბალი საუკეთესოდ იყოს მოწყობილი.

*** ამ დღეებში პარიეში გარდაიცვალა ერთი მდიდარი სომეხი, პეტროს აჯემიანი, რომელიც უცოლშვილო იყო. გარდაცვალებულმა 5 — 6 მილიონ შეძლებიდამ 30,000 მანეთი თავის მოსამსახურეი უანდერძა და დანარჩენ-კი საფრანგეთის საქველ-მოქმედო საზოგადოებას—„Assistance publique“-ს დასაარგებლად პარიეის ღარიბთათვის.

*** სიდნეიში: ბ-ნ ალ. მაჭავარიანის და ამხანაგობის წიგნის მაღაზიამ წარსულ წელშიე დააარსა სამკითხველო, სადაც ყველა ადგილობრივი და ორიოდე რუსეთის ჟურნალ-გაზეთები მოიპოვება. მკითხველთა რიცხვი-კი ისე მკირეა ჯერ-ჯერობით, რომ სამკითხველოს ხარჯის მეოთხედ ნაწილსაც ვერა ჰფარავს. ამავე წიგნის მაღაზიას გადაწყვეტილი აქვს, თავის საკუთარი სტამბა იქონიოს და ამ გვარად საზოგადოსაკეთილო საქმე ერთად შეაერთოს.

*** კიევი: კიევის ორს უმაღლესს სასწავლებელში: უნივერსიტეტში და სასულიერო აკადემიაში, ამ ჟამად სწავლობს სულ ოცი ქართველი ახალგაზდა. უნივერსიტეტში სწავლობენ: ლორთქიფანიძე მ., ბეთანიშვილი ა., ჩარექიშვილი ი., შენგელია ე., ჯორჯიკია გ., დემიდოვი ვ., ქორქაშვილი გ., თუმანიშვილი ა., ჩხენკელი პ., ფიფინაშვილი ა., გოგიტიძე, წერეთელი და ხუნდაძე. საფთიაქო ხელობას სწავლობს უნივერსიტეტში დ. ჯუღელი ტ ჯაკვაძე.

სასულიერო აკადემიაში სწავლობენ: ფერაძე ი., კელენჯერიძე მ., ჩოგავაძე მ., ქასაბიშვილი გ., (ოსი) და იეროდიაკონი მამა დიმიტრი (აბაშიძე). წარსულ 1892 წელს კიევში სწავლი დამთავრა ორმა ქართველმა: ბბ. კალისტრატე ცინცაძემ სასულიერო აკადემიაში, ღვთის-მეტყველების კანდიდატის ხარისხით, და გ. იშხნელმა უნივერსიტეტში—საფთიაქო ხელობის

თხოვნა, რადგანაც მშიერი მოკვდებოდა, და სთხოვდა, თუმცა სომხის როლს ვერა თამაშობდა, საშიკოროლს უკეთ ვითამაშებო. მაგრამ, ვერც აქ გამოაჩნდა ნიჭი. მეტი გზა აღარ იყო და ერთს დღეს გამოუცხადა ერისთავმა, რომ დღეითგან დათხოვნილი ხარო. ამისი თქმა იყო და ანტონოვმა თავის დაგლეჯილის ნაკრის პალტოს ჯიბითგან ამოიღო ერთი რაღაც რვეული. ამას გადმოეკეთებინა კომედია ორის კვირის განმავლობაში „ქმრები გავაბით მახეში“. ეს კომედია რომ მიართო ერისთავს, ერისთავმა დაცინინებით უთხრა, შენი დაწერილი კომედია რა იქნებაო, ის-კი არა და მეორე კვირას რო წარმოადგინეს თეატრში, ხალხმა ძრიელ მოიწონა, შექნეს ტაშის კვრა და გამოიწვიეს სცენაზედ ანტონოვი, რომელიც თავის დაგლეჯილის ტანსაცმელითი გამოვარდა და თავს უკრავდა მაყურებელთ. ეს ერისთავმა ძრიელ იწყინა, თუ როგორ გაბედა სახალხოთ სცენაზედ გასვლა იმ ტანისამოსით და ერისთავის ნება დაურთველად. ეს პირველი კომედია ხალხს რომ მოეწონა, ანტონოვი შეიქნა გამბედავი, მიეცა ხალისი და შეუდგა წერასა. ყოველ ორ კვირაში და სამ კვირაში სწერდა და მოარბენინებდა ერისთავთან წარმოსადგენად.

ერისთავი ცოტა შურიანი კაცი იყო: თუ შენიშნავდა ვისმე ნიჭს, იმას მოიძულებდა და, თუ ნახავდა, დამწერი საწყალი იყო, იმის თხზულებასაც თითონ დაიჩემებდა. ამ გვარად გამაართმევდა პიესას, გადაასწორებდა, გადმოასწორებდა და თავის სახელობაზედ წარმოადგენინებდა სცენაზედ. ეს ანტონოვთან ველარ იკადრა, რადგანაც თავის თხზულებაებთან, რომელიცა ხალხს მოსწონდა და აქებდა, ისე გაამაყდა რომ ერისთავს აღარას უთმობდა. ერისთავი გადაეკიდა, ხან აქტორობიდგან დაითხოვდა, ხან მიიღებდა და ხან თხზულებასაც უწუნებდა, მაგრამ ხალხს სურვილი იყო, იმისი დაწერილი ყველა წარმომდგარიყო. ერისთავმა აღარ იცოდა, რა ექნა და როგორ მოეშორებინა ეს ამაყი კაცი, რომლის მხარე მთელს ტრუპას ეჭირა და პატივსა სცემდა.

ერთხელ პლატონ იოსელიანი, ნუმიზმატიკი ბარტოლომეი, რომელიც გენერალი იყო და მსახურებდა ვარანცოვთან, გიორგი მუხრანსკი და რამდენიმე პირნი სხვა წავიდნენ გორში უფლის ციხის სანახავთა, ანტონოვი ჩემათ დასდევნებია და ესეც, როგორც ამაყი და მეტიჩარა, იქ ნახვის დროს დასწერებია. იქიდგან, ეს ნასწავლი ხალხი ტფილისში დაბრუნებულა ტივით, მივიდა თუ არა ქალაქს, ანტონოვმა სამის დღის განმავლობაში დაუწერა კომედია „ტივით მოგზაურობა“. დაწერა თუ არა, აუტანია სასახლეში და მიურთმეეია ვარანოცოვისათვის, რომელმაც დიდის სიამოვნებით მიიღო და აჩუქა ოქრის საათი. ამ შემთხვევამ ხომ სულ ფრთები შეუსხა ანტონოვსა და ერისთავი ხომ სულ დადარია, იმის სიძულვილს საზღვარი აღარა ჰქონდა. ის აუხირდა ანტონოვს, მიიმხრო პლატონ იოსელიანიც, ბარტლომეიც და გიორგი მუხრანსკიც, რომელიც იყო იმ დროს ვარანცოვის საკუთარ მინდობილობის ჩინოვნიკად, და ამათ ერთად უჩივლეს ვარანცოვთან, ეს ვიღაცა ანტონოვი არის, ჩვენზედ კომედიებსა სწერსო, და თქვენ, ნაცვლად დასჯილი, საჩუქრეს აძლევთო. ვარანცოვს ძრიელ ეწყინა ამათი საჩივარი და უთხრა, ნაცვლად იმისა, რომ მწერალი წაახალისოთ, თქვენ უჩივითო. მწერალი იმისია, რომ ხალხიდგან აიღოს სურათები; ვისაცა სურს, ჩემს ნაკლულევანებაზედ დაწეროსო და მე არ მეწყინებაო. კულავ გთხოვ, მაგ გვარ უბრალო საჩივრებზედ აღარ შემაწუხოთო.

უნდა ვთქვათ პირუთნელად, რომ, როგორაცა ზემოთა ვთქვი, ერისთავს ჩვეულებათა ჰქონდა, თუ ნახავდა, რომ კომედიის დამწერი უძალო კაცი იყო, არავითარი გავლენა ჰქონდა და არა შეეძლო-რა, იმის ნაწერს თვითონ შეითვისებდა და თავის სახელობაზედ წარმოადგენინებდა, როგორც ქართულის თეატრის დირეკტორი,—ამ გვარადა, შეითვისა, ჩემგან „თილისმის ხანი“, ერთი კომედიაც შეითვისა აქტიორის მეიფარიანისა, და ანტონოვისა-კი ვერ იკადრა, რადგანაც ის იყო ამპარტავანი, ამაყი, გამბედავი და არას უთმენდა ერისთავსა.

ერთხელ წაკვდით და ვიჩივლეთ ერისთავზედ, კომედიებს გვარომენესო, ამის მიზეზით ერისთავი ცენზორობითგან დაითხოვეს (ის ცენზორიც იყო, საკუთარის მინდობილობის ჩინოვნიკიც ვარანცოვისა და დირეკტორიც ქართველის თეატრისა).

1853 წელს გაჩნდა ოსმალეთთან ომი, ვარანცოვი წავიდა რუსეთში და გადადგა სამსახურითგან... ერისთავს მწყალობელი თ. ვარანცოვი რომ მოაკლდა, ისიც გამოვიდა სამსახურითგან, მიანება თავი თეატრსაცა და დაბინავდა თავის მამულ ხაფისთავში; მეც, როგორც ერისთავის თანაშემწემ შრომაში, თავი მივანებე და შევედ სამსახურში.

ქართველმა სათეატრო დასმა თავის წინამძღოლად ამოირჩია ზურაბ ანტონოვი, რომელიც თანა სწერდა პიესებს და თან წარმოადგენინებდა. თითონ-კი აღარ თამაშობდა, რადგანაც თამაშობის ნიჭი არა ჰქონდა. თეატრის საქმე ველარ მიდიოდა ისე, როგორც გიორგი ერისთავის დროს,—

ცოდნაში ეგზამენები სამაგალითოდ დაიჭირა.

საკომლოთა ანუ ნადელების დასახსნა გლეხ-კაცობის მიერ, ტფილისის გუბერნიაში

(მცირე შენიშვნა)

შარშან რამდენიმე წერილი გვქონდა დაბეჭდილი შესახებ იმისა, რომ საკომლო მამულის დასახსნელი ფულის გადახდა დიდად უძნელდება ჩვენს გლეხობას. სახლ-კარისა და სახნავის (10 დღიური სარწყავი, ანუ 20 დღიური ურწყავი) დასახსნელად მთავრობა აძლევდა კომლზე 350 მანეთს, იმის სარგებელი მოდის 21 მანეთი, და სულ ტფილისის გუბერნიის თავდასხნილმა გლეხობამ უნდა აძლიოს წელიწადში 42,840 მ. 12 კ. 49 წლის განმავლობაში. ამოდენა სარგებლის ძლევა ყოველ-წლივ ჩვენს გლეხობას მეტად უმძიმდება და თავს დიდი „ნედოიმკა“ დაატყდა. აი რომელს მაზრას რამდენი ნედოიმკა და წლიური შესატანი ჰქონდა 1 დეკემბრამდე წარსულის 1892 წლისა.

ბორჩალოს მაზრა: წლიური შესატანი—30,076 მ. 15 კ. დარჩენილი გადასახადი—105 მ. 40 კ. არ შეუტანიათ წარსულის წლის გადასახადი—1496 მ. 78 კაპ. ამ წესით დანარჩენ მაზრებში: გორისა: წლიური—12,241 მ. 85 კ., ნედოიმკა—18,558 მ. 70 კ., არ შეტანილი წლისა—11,398 მ., 59 კ., დუშეთისა—წლიური—4423 მ., 27 კ., ნედოიმკა—11,686 მ., 96 კ., არ შეტანილი წლისა—4429 მ., 27 კ., სიღნაღისა—წლიური 7645 მ., 84 კ., ნედოიმკა—6,356 მ., 2 კ., არ შეტანილი წლისა—5010 მ., თელავისა—11,113 მ., 80 კ., ნედოიმკა—57,729 მ., 15 კ., არ შეტანილი წლისა—11,070 მ., 7 კ., ტფილისისა—წლიური—2204 მ., 49 კ., ნედოიმკა—არაფერი; დარჩა, წლისა—88 მ., 29 კ., თიანეთისა—წლიური—2128 მ., 72 კ., ნედოიმკა—1729 მ., 64 კ., დარჩა წლისა—1,474 მ., 33 კ., ჯამი, მთელის წლის გადასახადი 42,840 მ., 12 კ., ნედოიმკა—96,165 მ., 47 კ., შარშანდელი წლის ხარჯი, რომელიც არ შეუტანიათ—34,967 მ. 33 კ., შარშანდელი ნედოიმკა წინანდელს რომ მივუმატოთ, გამოვა 131,133 მ., 20 კ., წლის გადასახადიც—42840 მ., 12 კ. რომ ზედ მივიდეთ, გამოვა რომ ტფილისის გუბერნიის თავდასხნილმა გლეხობამ უნდა გადიხადოს მარტო საკომლო მამულისა 173,973 მ., 32 კ.

მკითხველი შეჰნიშნამდა, რომ ყველაზე მეტი ნედოიმკა აქვს თელავის მაზრას, ნახევარზე მეტია იმაზე, რაც მთელს გუბერნიას; ტფილისის მაზრას ნედოიმკა სულ არა აქვს და დუშეთს ხომ ყურიც არ გაუბერტყია და ერთი გროშიც არ მიუცია ხაზინასთვის. ამ მცირე შენიშვნაში ძნელია კაცმა გამოარკვიოს მიზეზი ჩვენის გლეხობის ასეთის დავალიანებისა, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ წლიური გადასახადი მეტად მძიმეა და იმიტომ თუ უძნელდებათ მისი გადახდა. რასაკვირველია, მაზრის პოლიციასაც ცოტაოდენი ბრალი ედება ამ საქმეში, მეტადრე იქ, საცა სულ არა შემოსულა-რა.

წერილი ამბავი

ამის წინად დოსდონში მოხდა კრება ახლად დაარსებულ ლიტერატორთა საზოგადოებისა. ამ საზოგადოებაში წეკრებად არიან ინჯღილაფლები და ფუსებიტ. კრებამ გადასწყვიტა, დაარსონ რუსული სამეთხუკლო და წაგნთ-საცაკი და მოახდინონ ხოლმე ყოველ თოვეს კრება. საზოგადოებას ამედი აქვს, რუსულ ენისა და ლიტერატურის შესწავლის კაკრს ნაყოფს გამოიღებსო.

— ჩიკაგოში ტამოფენის დროს სამეცნიერო კონგრესიც მოხდება. ამ კონგრესს ამერიკის შტატები ფულდი შემწეობას აღმოუჩენენ. და თავის ხარჯით მაიწვეკენენ მეცნიერნ. სამეთემთიკოსნაწილი ამ გარეფოფლებიდან შესდგება: კერძოდ სამოუმთიკო, საკრსკვლავთმრიცხველო და საფიზიკო. საასტრონომიო განყოფილება ბროფესორს „ჰეგს“ ამბრაა.

— ითანს ახლო სპერმნეოში უზოკეთ პატარა კერცხლის ფულები, რომერაბაში, ამ ვიაბაში მიდიოდა იმისი სამეუხარო სიცოცხლე. ბოლოს დაწერა იმან ერთი შესანიშნავი კამედია, რომელსაცა ერქვა „ცრუ-პენტელი“, როდესაც წაგვიკითხა, ძიიელ მოგვეწონა და ჩემის აზრით, ისა სჯობდა ყოველის იმის დაწერილებს. თეატრი ალარ იყო, რომ წარმოეგიდნათ, ამისათვის მოინდომა და ურჩიეთ კიდეც დაებეჭდა,—ჯერ მე მაშინ „ციხარი“ არა მქონდა—მაგრამ ლონისძიება არა ჰქონდა. იმ დროს ტფილისის გუბერნატორად იყო ივან მალხაზიჩ ანდრონიკოვი, ახალციხეში რომ გაიმარჯვა და ოსმალეთის ჯარი გარეკა. ერთს დღეს ავიდა ანტონოვი ივან მალხაზიჩთან და ეხვეწა, ერთი კამედია მაქვს, ახალად დაწერილი, სახსარი არა მაქვს დავბეჭდო და ათი თუმნით ხელი გამიმართეო. იმან ვექესილი ჩამოართვა და ათი თუმანი ასესხა ამ კამედიის დასაბეჭდავად. წარმოიდგინეთ იმისი უბედურება! უბეში უძევს ეს ფული და მიდის სიხარულით საპერის ქეჩაზედ, იმ სიამოვნებით, რომ იმისი კამედია დაიბეჭდება. ამ დროს მეზობლად ალექსანდრე მაკედონელიის სურათთან გამოჭედნაკეზული. დიდს მეფეს ცალ ხელში სკიპტრა უჭირავს და მეორეში—ფრანკული.

— პარლამენტის დეპუტატები იღებენ ჯიდღოს სესიების განმაღლობაში მხოლოდ ზოგან, ზოგან-კი სულ არაკითარი სასეიდლეა არ არის დაწესებული მათთვის. იღებენ გასამრჯელოს: სფრანგეთსა, გერმანიასა, ავსტრიასა, დანიასა, პორტუგალიასა და შეეციაში. იტალიასა და ისპანიაში დეპუტატებს არა ეძლევთ-რა, მხოლოდ ნება აქვთ უფასოს იარონ რკინის გზებით. ინგლიზეაც დეპუტატებს არაკითარი სასეიდლეა არ ეძლევთო.

— სერბიის სამეცნიერო აკადემიას აურჩეკია თავის ნამდვილ წევრად მინისტრად ნამეფი გრაშანინი.

— სფრანგეთში ძლიელ გამჩაკლებულან მგლები. მოდალაპარაკები აქვთ სფრანგეთსა, შეეიცარიასა, ბოდეკარიასა, ლუქსემბურგსა და გერმანიას, რა ღონე გიღონოთ, რომ ერთბაშად გაკასწეკეთ მგლები ჩვენს ქვეყნებშიო.

საფინანსწარმეტყველო კალენდარი 1893 წლისთვის

იანვარი.

პირველდაგან თხუთმეტამდე სუსხიანი ზამთარი იქნება, თხუთმეტიდგან თოვის გასვლამდე—კიდევ უფრო სუსხიანი.

თებერვალი.

ამ თოვეში დიდ-მარხვა დადგება, უმარველს ყოველსა დრამტიკულ არტისტებისათვის.

მარტი.

9 მარტს გაზაფხული დაიწყება; გასითხოვარი და გათხოვილი ქალები ახლა კაბებს შეაკერკენ.

აპრილი.

„ორთაჯალასა“, „კაზასა“ და „რუზაში“ კეკრია დიდეკენ ჩაჭეკრავს და ბადეკ-ბადი ბაიათუს შემოსძახებს. ბადეში შემსეალდთა ეჩოსკა კარდლის სუნი დასტკბება და ბაღის პატრონთა ჯაჭვები ფეკლით გაკავსება. ბანკის არჩევანებისთვის ტფილისში კენჭოსანი ჩამოაბრძანდებიან.

მაისი.

თუ ხოდერა არ გაჩნდა, წვრილ-ფეხა ერთ სახლითგან გამოეკვარდება ერთი დიდი ქოფაკი, ძაღლი, წაიგდებს ქვეშ, ჭფლეთავს და გლეჯავს შეეუბრალებლად; დაეხვევა ხალხი: ამ წვევა-გლეჯაში და არეულობაში ის ფულიც დაეკარგება და დესეტნიკები ცოცხალს მკვდარს მიიყვანენ თავის მაგრად კლიტით დაკეტილს ოთახში, რომელიცა დაქირავებული აქვს მთაწმინდაში, ერთს მიყოუებულს და მივარდნილ ქუჩაში. შეიყვანენ ანტონოვს ოთახში, სადაცა დგას უბრალო ფიცრის ფეხ-მოტეხილი კროატი, რომელზედაცა შლია ძონძიანი ლოგინი, ცალ კუნეულში დგას უბრალო სტოლი, სტოლის წინ უბრალოდ ხის სკამი, სტოლზედ საწერ-კალამი, ხელნაწერი რეეულები, ქვის იატაკზედ, თავისგან გამოცემული წიგნები, რის გაყიდვა ვეღარ მოუსწერია, მიაწვენენ ქვეშაგებში, მიანებებენ თავს და წავლენ თავის გზაზედ. იქა წევს ზურაბ ანტონოვი, მშიერი, მწყურვალი, მარტო-დ-მარტო. არსით ნუგეში, არსით პატრონი! ერთი ძმა ჰყვანდა, ისიც საღლაკი დგას გორიასკენ მოჯამაგირედ ლუკმა პურისათვის.

არტისტები ბაღებსა და ქუჩებში წარმოდგენებს გამართავენ.

ივნისი ბ ივლისი.

რაც პირველ თოვეს მოხდება, მეორე თოვეს დამძღეკამდე გასტანს. სხვა-და-სხვა სასწაულებლებში მოაწყენენ სწავლას დაამთავრებენ და საჭართველოს კაბადნიერებენ.

აგვისტო.

გამოცხადდება, რომ არც ერთს გამასხიანა უმაწვილებისთვის კეკანსია ალარ არისო.

სექტემბერი.

თეატრის ადგილები, ადგილები.

ოქტომბერი.

არცა ცეკვა, არცა ცხელა. რაკი ასეთი ამინდები იქნება, სხვა-და-სხვა საზოგადოებათა წევრნი კრებებს მოუსხარებენ.

ნოემბერი.

წარმოდგენები და მასკარადები საქალდ-მოქმედო „მაზნით“ და „უმიზნოთ“.

დეკემბერი.

კაზეთები გამოაცხადებენ: შეკეთინეთ 100 ბოიტი, 200 ბედეტრისტი, 300 რეტენტზენტი, მრავალი რეპორტიორი და ეურბედი კორესპონდენტები.

ბოდი და ამისთანა, კაზეთებს ნუ გამოიწერ!

???

ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲝᲜᲘ

პეტერბურგის გაზეთმა შემდეგი კითხვები დაბეჭდა და არტისტებს მიმართა, ამ კითხვებზედ პასუხები გამოგვიგზავნეთო. რამდენსმე არტისტს პასუხები გაუგზავნია, მათ შორის არტისტს ქალს მ. გ. სავინასაკ. მოგვაქვს ეს კითხვები და პასუხები ქ-ნ სავინასი: 1) უმთავრესი თვისება ჩემის ხასიათისა?—ხასიათის უქონლობა. 2) რომელი ღირსება უფრო მომწონს მამაკაცში?—მამაკაცთ არც ერთი ღირსება არა აქვთ. 3) რომელი ღირსება უფრო მომწონს დედაკაცში?—როცა დედაკაცი თავის მეტოქეს სამართლიანად მოექცევა. 4) ჩემი უმთავრესი ღირსება?—რეპეტიციებზედ არასოდეს არ ვიგვიანებ. 5) ჩემი უმთავრესი ნაკლულევანება? არაფრის გულისათვის არ ვიტყვი. 6) ჩემი იდეალი ბედნიერებისა?—ჩემი ვალები გავისტუმრო. 7) რა იქნებოდა ჩემთვის უდიდესი უბედურება?—სცენის განშორება. 8) ვის მინდა ვემსგავსებოდე?—მარიამ შოტლანდელს. 9) რომელ ქვეყანაში ვინატრებდი ცხოვრებასა?—იმ ქვეყანაში, სადაც რეკეკენზენტები არ არიან ჰკიცხავენ. 10) რომელი მწერალი უფრო მიყვარს?--ოსტროვსკი.11)რომელი პოეტი უფრო მომწონს?—გრიბოედოვი. 15) როგორ მინდა მოვკვდე?—რასაკვირველია—სცენაზე. 18) რა უფრო მაფიქრებს და მადარდებს ამ ჟამად?—ჩემი ახალი როლი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნმა სიდოროვან თ. ხუნდაძემ გადმოგზა შემდეგი სასწაულო ნიეთება, რომელიც შემოუწერავი ჩემდა რწმუნებულ კადაკონის ღეთის მშობლის კეკელესიის სამრკეკლო სკოლისთვის ბბ-ნი კარლამ ბანეს ძეს ჭიდაძეს და ნესტორ ი. წერეთელს. ეი სიბ შემოწერეულებათ.

ბ-ნმა ჭიდაძემ შემოსწერა: 1) ორი ბუნეს-კარი ედინი, 2) სამი დედა-ენა, 3)სამი „Русское слово“, გოგუბაშვილისა 4) 50 რეკეული, 5) ორი დუკანი ეარანდაში, 6) ორი დუკანი კალმის ტარი, 7) ერთი კოლოფი კალმა,—სულ შვიდის მანეთისა და შვიდის შაურისა.

ბ-ნმა ნესტორ ი. წერეთელმა შემოსწერა:

1) სამი დუკანი ეარანდაში, 2) 14 დაფა, 3) ერთი კოლოფი კალმა, 4) ერთი კოლოფი გრიფელი, 5) 25 რეკეული, 6) ორი დუკანი კალმის ტარი, 7) ორი დედა-ენა.

ორთავეს დიდს მადლობას ვუძღვნი ამ კეკარ შემოწერეულობისათვის.

მასწავლებელი კალაკონის სამრევლო სკოლისა მ. ა. ხუნდაძე.

1893 წ. იანვარი 7.

ს. კალაკონი.

დეპეშა

22 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადდა კანონდებულებანი: 1) შესახებ მიწის მფლობელობისა და საადმინისტრაციო წესებისა უფას გუბერნიაში ბაშკირთა დასახლებულთათვის რომელიც უმართებელესის სენატის ბრძანებით კერძო მფლობელთ იმ მამულებზე ჩამოერთვათ და გადაეცათ ბაშკირთა, ამ ვიაბაში მიდიოდა ამისი სამეუხარო სიცოცხლე. ბოლოს დაწერა იმან ერთი შესანიშნავი კამედია, რომელსაცა ერქვა „ცრუ-პენტელი“, როდესაც წაგვიკითხა, ძიიელ მოგვეწონა და ჩემის აზრით, ისა სჯობდა ყოველის იმის დაწერილებს. თეატრი ალარ იყო, რომ წარმოეგიდნათ, ამისათვის მოინდომა და ურჩიეთ კიდეც დაებეჭდა,—ჯერ მე მაშინ „ციხარი“ არა მქონდა—მაგრამ ლონისძიება არა ჰქონდა. იმ დროს ტფილისის გუბერნატორად იყო ივან მალხაზიჩ ანდრონიკოვი, ახალციხეში რომ გაიმარჯვა და ოსმალეთის ჯარი გარეკა. ერთს დღეს ავიდა ანტონოვი ივან მალხაზიჩთან და ეხვეწა, ერთი კამედია მაქვს, ახალად დაწერილი, სახსარი არა მაქვს დავბეჭდო და ათი თუმნით ხელი გამიმართეო. იმან ვექესილი ჩამოართვა და ათი თუმანი ასესხა ამ კამედიის დასაბეჭდავად. წარმოიდგინეთ იმისი უბედურება! უბეში უძევს ეს ფული და მიდის სიხარულით საპერის ქეჩაზედ, იმ სიამოვნებით, რომ იმისი კამედია დაიბეჭდება. ამ დროს ორის კვირის უკან შეეიტყე ის ანბავი და მაშინვე გავეშურე სანახავად, ეფიქრობდი შეეწერებას მივცემდი რასმე, თანა მყვანდა იმისი ამხანაგები აქტიორები: ტატიევი, კორძანი, ელიოზოვი და ნატიევი. მივახლოვდით თუ არა სადგომს, შემოგვეცა გულ-საკლავი, საზარელი ხმა. კარები იყო გარეთგან კლიტით დაკეტილი, ჯაშუშათ პოლიციას დაეყენებინა დესეტნიკი, რომელიც არავის უშვებდა ახლოს. თურმე ნუ იტყვით, ის ძაღლი, რომელმაც დაგლეჯა, ყოფილიყო ეოფიანი. მორეკია ეოფი საწყალს ანტონოვსა, უყვირის, წივის, დორბლები მოსდის პირითგან, თხოულობს წყალს, იხვეწება, თოფი მესროლეთო. ამ ოთახსა ჰქონდა მეორეთგან ერთი ფანჯარა, რკინის ბადის მქონებელი. გულმა ალარ გამიძლო, მიველ და შევხედე იხვეწება, იმედარება: „ბატონო ივან ივანიჩ! ბატონებო: იოსებ (ელიოზოვი იყო), გიორგი (ტატიევი), თქვენი ჭირიმეთ, თოფი მესროლეთ, მომკალით,—ან წყალი მასვით, წყალი, ღვთის გულისათვის! თქვენი ჭირიმეთ!..“ რომ მოიქანცება, დაეარდებაჰ,ზ,ზ,ზ

რებს; 2) სავაჭრო და სამრეწველო ოპერაციებზე გარდასახადის შესახებ: სავაჭრო და სამრეწველო ოპერაციებს 1893 წლის 1 იანვრიდგან გამოერთვას გარდასახადი 5% წმინდა მოგებისა; სავაჭრო და სამრეწველო საქმეებს 1893 წლიდგან დაედება კიდევ სხვა გარდასახადი სულ 1.000,000 მ. ეს გარდასახადი განაწილდეს ყველა გუბერნიებსა და ოლქებში; იმ ქარხნებს, რომელნიც აქციზს იხდიან და გილდიის მოწმობას იღებენ, გარდა არაყის იმ ქარხნებისა, რომელთაც თვით ბაღის პატრონები ამუშავებენ და მაშასადამე სავაჭრო ხასიათი არა აქვთ, გამოერთვას 1893 წლიდგან გარდასახადი სულ 700,000 მან. ეს გარდასახადი ყველა გუბერნიებ შორის განაწილდეს.

ციმბირის რკინის გზის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად დანიშნულ იქმნა მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მწარმოებელი კულოზენინი.

პარიჟი. პანამის საქმე: კამეთოტა გათავდა და განაჩენის დადგენა სასამართლომ ხუთშაბათისთვის გადადო. მაგრამ ჰფიქრობენ-კი, რომ იმ დღეს განაჩენის დადგენა არ ვერ მოხერხდებოო.

პოეტი ბორნიე და ისტორიკოსი ტიერო-დანსენი არჩეულ იქმნენ საფრანგეთის აკადემიის წევრებად. თავისუფალი იყო კიდევ ერთი ადგილი, მაგრამ ვერავინ ვერ აირჩიეს, თუმცა კენჭის ყრა ხუთჯერ მოხდა. ზოლას მხოლოდ 6 თეთრი კენჭი ამოუვიდა.

როგორც „Paix“ იუწყება, სასამართლოს გამომძიებელი ფრანკევილი, რომელსაც არტონის უბის წიგნი გადასცეს, მხოლოდ არტონის დასატიმრებას უცდის, და შემდეგ ნებას ითხოვს, სამართალში მიცემულ იქმნას კიდევ რამდენიმე წევრი პარლამენტისა.

რომი. სიცილიის ბანკის დირექტორად ნამყოფი ნოტარბარტოლო პალერმოს მოჰკლეს; ვინ ჩაიდინა ეს ავაზაკობა, არ იციან. ჰფიქრობენ, რომ მიზეზი მოკვლისა შურის ძიება უნდა იყოსო. გახზრახვა აქვთ, დაპატიმრონ ვექილი ბელუჩი, რომელსაც შუა-კაცობა გაუწევია, როცა რომის ბანკს სხვა-და-სხვათათვის დიდძალი ფული მიუცია; დეპუტატებმა დე-პუტიმ, ჯიოლეტიმ და რუდინიმ პალატაში უარჰყვეს ის ხმები, ვითომ ბანკმა დიდ-ძალი ფული დაჰხარჯა არჩევანებისთვისო.

ბრესლავი. სასამართლომ მკურნალს შმიტს 10 წლით დაპატიმრება მიუსაჯა, რადგან ქალთათვის მრავალჯერ წაუხდენია მუცელი.

პეტერბურგის ბირჟა, 22 იანვარი.

	მოთხოვნა.	გაყიდვა.
	მან. კ.	მან. კ.
ᲡᲣᲗ-ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲥᲠᲘ .	7,83	7,86 — ,,
ᲭᲘᲚᲘᲜᲓᲘᲡ ᲙᲣᲞᲝᲜᲔᲑᲘ .	156½	157½ — ,,
ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲪᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ	1,08	1,10 — ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,, 240¾
—მეორისა	— ,,	— ,, 227¼
ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲬᲘᲚᲘᲗ თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,, 195
ᲙᲐᲠᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ფურცელნი ᲭᲘᲚᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ: 6%	— ,,	— ,, — ,,
5%	— ,,	— ,, — ,,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 6% .	— ,,	— ,, — ,,
5%	— ,,	— ,, — ,,
5% ობლიგაც. ᲭᲘᲚᲘᲜᲓᲘᲡ ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,, — ,,

ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲚᲕᲐ

ᲭᲘᲚᲘᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲭᲘᲚᲘᲜᲘᲡ მიდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ᲭᲘᲚᲘᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲑᲐᲥᲝᲡ მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲜ ᲭᲘᲚᲘᲜᲘᲡ მიდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ᲭᲘᲚᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲯᲣᲚᲘᲡ ᲨᲣᲐ.

ᲭᲘᲚᲘᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲯᲣᲚᲘᲡ მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

ᲒᲐᲜᲯᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲭᲘᲚᲘᲜᲘᲡ მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐ:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘ: დღისით 4 საათზე მოალე გზით, შეიღლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეიღლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲛᲝᲓᲐᲜ:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიღლის.

ᲤᲝᲗᲝᲗᲨᲘ ᲛᲝᲓᲐᲜ:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ᲤᲝᲗᲝᲗᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐ:

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეიღლის, დილის 5 საათზე,

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშა. ბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეიღლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ᲜᲘᲰᲠᲘ

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კ.
წოთელი „ 1-ის ხარისხ. „	4	„
„ „ 2 „ „ „	3½	
„ „ 3 „ „ „	3	„
თონ. წოთ. პურ. 1 ხარ. „	5	კ.
„ „ „ 2 „	4	„
„ „ „ 3 „	3½	
ᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲚᲐᲕᲐᲨᲘ.		
1-ის ხარ. პურ. ᲚᲐᲕᲐᲨ. 1 გ.	7	კ.
მე-2 „ „ „ „	5	„
მე-3 „ „ „ „	4	„
ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ 1-ის ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ	7	კ.
ᲡᲣᲪᲘ — — —	12	„
ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ — —	7	„

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲑᲠᲔᲨᲘᲛᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲛ. ᲞᲐᲡᲮᲐᲚᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐ

ᲑᲠᲣᲡᲚᲘᲡ (ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ)

ᲪᲔᲪᲚᲚᲘᲣᲚᲘᲐᲠᲘᲡ ᲒᲠᲔᲜᲐ (ᲐᲑᲠᲔᲨᲘᲛᲘᲡ ᲭᲘᲚᲘᲡ თესლეული) ᲛᲛ. ᲞᲐᲡᲮᲐᲚᲘᲓᲔᲑᲘᲡ

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

Ა. Გ. ᲛᲘᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდან.

(50—35)

ᲡᲐᲣᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡᲐ

„ᲣᲠᲑᲐᲜᲘ“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 იანვისს 1889 წელს ამოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ᲰᲥᲝᲜᲓᲐ თანხა 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ᲣᲠᲑᲐᲜᲘ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და კერძოთ სხვა სახელმწიფოებში დაუზღვევია 50.000,000 ფრანკი.

Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ᲣᲠᲑᲐᲜᲘ“, ნაცვლად მოგების მიტანისა, დაზღვეულთ აუდგენს ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲜᲨᲣᲠᲐᲜᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲡ გარდასახადისაგან და ᲞᲝᲚᲘᲡᲘ-ᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲠᲒᲕᲔᲑᲐ.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(49—2)

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ᲮᲚᲔ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამითი, რა პროგრამითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თვითი. . .	10 მ.—კ.	6 თვითი . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50,,	5 „ . . .	5 „ 50,,
10 „ . . .	8 „ 75,,	4 „ . . .	4 „ 75,,
9 „ . . .	8 „ —,,	3 „ . . .	3 „ 50,,
8 „ . . .	7 „ 25,,	2 „ . . .	2 „ 75,,
7 „ . . .	6 „ 50,,	1 „ . . .	1 „ 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლითა. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეგ მცხოვრებ უნდა დაბარონ გაზეთის შემდეგის ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ: Тифлисъ. въ редакцію грузинской газеты „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესაცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვითს განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლითა, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ᲯᲔᲠ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ)სრული უკანასკნელ გვერდი 30 მანთა, ხოლო პირველი გვერდი—60 მანთა. რიცხვი სტრიქონებისა გამოანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიკავებს 25 ასო ზოგთის ტექსტისა.

ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘ და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნონს. მიღებული ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐ, ან საგაზეთო წერილები, თუ საშეერიგოა მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐ, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხოს, მერე რედაქციას ეფლარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐ და წერილების მესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ᲙᲣᲯᲝᲨᲘ, ნიკოლოზოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ. № 21.

ᲛᲘᲖᲔᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ

(Михайловскій садъ)

მიხეიდის ქუჩა, რკინის გზის მმართველობის პირდაპირ.

ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ჩემს ხელში გადმოვიდა ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘ მიხეიდის ბაღისა. ᲑᲣᲤᲔᲢᲘ მშვენივრად არის მოწყობილი. სასმელები ყოველ გვარი გვაქვს. საუკეთესო მზარეული ამზადებს

ᲐᲮᲝᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲕᲠᲝᲞᲘᲣᲚᲡ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲔᲑᲡ

მუდამ ახალ-ახალ სანოვაგისას. ღვინო კარგის ღირსებისა გვაქვს, ბოთლი 25 კაპ. დაწყებული. შეიძლება დაკვეთა დასახლში წაღება ორის თვის საკმლისა თვეში 12 მანეთად.

ᲤᲐᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐ ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘᲐ

თავმდები ვარ, რომ მოსამსახურენი ზრდილობიანად მოეკეკვიან ყველას.

ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲗᲝᲜᲮᲐᲫᲔ

ᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

მოიწვევენ თავიანთ საზოგადო განუყოფელ ზემო-საციანურ მამულების მართვა-გამგეობისათვის მცოდნეკაცთ სატყეო და სამეურნეო საქმეებისას. მსურველთ ამ საქმის გაძღოლისას შეუძლიანთ მიმართონ წერილითა, ანუ პირის-პირ სოფელ ქარელში თავად ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲘᲡ კანტორას.

(3—3)

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, ნაკუთ. სახლებში №№ 14—16

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲙᲘᲓᲔᲑᲘ:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲘᲠᲘᲐ-ᲣᲥᲛᲔᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—6)

Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Января 1893 г. სტამბა ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲘᲡ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲩᲐᲫᲔ.